მცირე შესაძლებლობიდან – მაქსიმუმი

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 25 ივლისი.

“დინამო” (თბილისი) – “ბოლდკლუბენი” (დანია) – 2:2 (0:1).

“ბოლდკლუბენი”: ი. ლარსენი, ვესტერგორდი, ფანგელი, ჰენტსონი, ვესტერლუნდი, რასმუსენი, ფ. ლარსენი (პეტერსენი), პაულსენი, ფორსინგი, ტროელსენი, ჰედეაგერი.

“დინამო”: ლეჟავა, სიჭინავა, პეტრიაშვილი, ჩოხელი, ზეინკლიშვილი, იამანიძე, მელაშვილი, მაისურაძე (ილიადი), კალოევი, დათუნაშვილი, მესხი.

მსაჯი: ტ. ხურუმი (კრასნოდარი).

დანიელი, წამსვე ორი თავისუფალი მოთამაშე გადის წინ, ღია პოზიციაში. ამ მომენტში ერთ–ერთ მათგანს მოსდის შეუცდომელი მოწოდება ღრმა ზურგიდან და გუნდი უკვე მოპირდაპირე ნახევარზე აგრძელებს კომბინაციას.

თბილისელებმა კარგად იცოდნენ დანიელთა ტაქტიკის ეს დეტალები და თუმცა პირველი ტაიმის განმავლობაში მათი ტერიტორიული უპირატესობა ეჭვს არ იწვევდა, დროის დიდი ნაწილი უქმად და უსარგებლოდ იქნა გატარებული “ბოლდკლუბენის” ნახევარზე. ხშირად უშვებდნენ შეცდომებს ზეინკლიშვილი, სიჭინავა, მაისურაძე, დათუნაშვილი, რეალური საშიშროება სტუმართა კართან თითქმის არ იქმნებოდა, ვინაიდან იამანიძე და კალოევი გადამწყვეტი დარტყმისათვის მხოლოდ ერთ გზას ეძებდნენ: დრიბლინგით გასვლას “ბეტონირებულ” დაცვაში. ეს კი ძალზე ძნელი საქმე იყო. პარტნიორებმა რამდენიმეჯერ სცადეს დისტანციიდან კარში დარტყმის საშუალება მიეცათ მელაშვილისათვის, საამისოდ სპეციალური კომბინაციებიც კი გათამაშდა, მაგრამ მატჩი ისე გათავდა, რომ მარჯვენა გარემარბის ხეირიანი დარტყმა გოლში ჩვენ ვერ ვნახეთ.

საერთოდ, მეკარე ი. ლარსენი ალბათ სრულ უხიფათობაში ჩაატარებდა პირველ ტაიმს რომ მესხი არა. დინამოელთა გარემარბი ერთადერთ იყო, რომელსაც ამოქმედებდა ნამდვილი ფორვარდის ინსტიქტი: სწრაფი გასვლა და დარტყმა კარში. ი. ლარსენს არაერთხელ მოუხდა მისი ძნელი ბურთების აღება.

სტუმრებმა ანგარიში გახსნეს მე–10 წუთზე. ზეინკლიშვილი დაჯარიმდა თავის ფლანგზე და ფ. ლარსენმა ზუსტად დაკიდა ბურთი კართან. მაღალ ნახტომში ფორსინგმა საგრძნობლად მოუგო სიჭინავას და თავით დაარტყა მაღალ კუთხეში. ლეჟავამ მხოლოდ თვალი გააყოლა ბურთს – 1:0.

ეს გოლი გაქვითულ იქნა მხოლოდ მეორე ტაიმში. დათუნაშვლმა მოჭრილი ბურთი მოაწოდა კუთხურიდან, მას ოდნავ მიწვდა თავით იამანიძე და “ბოლდკლუბენის” კარის ხაზზე მდგარი 3 მოთამაშე უძლური იყო ეხსნა კარი – 1:1. პირველ გოლს მოჰყვა მეორეც, რომელიც თავდამსხმელის ინდივიდუალური თამაშის ჭეშმარიტ შედეგრად შეიძლება ჩაითვალოს. მესხი თავისი ცნობილი ფინტით გავიდა ჯერ ვესტერგორდთან, მერე ფანგელთან და კარში გაგზავნა ბურთი, რომლის აღება შეუძლებელი იყო – 2:1.

ამ პერიოდში, დაახლოებით პირველი 20–25 წუთი, თბილისელები საუკეთესოდ თამაშობდნენ. შეტევა წარმოებდა მაღალ ტემპში, მძლავრად, გაშლილად. გოლის აღების შესაძლებლობა მრავლად იქმნებოდა, მაგრამ როცა ასეთი მომენტები არ იქნა გამოყენებული ერთხელ, ორჯერ, სამჯერ, სტუმრებმა უკვე თამამად მიმართეს თავიანთ კონტრიერიშებს. 35–ე წუთზე ჰედეაგერმა გაიმარჯვა მცველებთან

ბრძოლაში, შორი მანძილიდან სწრაფად შეაფასა მდგომარეობა და ძლიერად დაარტყა კარში. ლეჟავა არ იყო მზად ბურთის მისაღებად და მისი შეცდომის შედეგად დინამოელთა კარში მეორე ბურთი იქნა გატანილი – 2:2.

ასე გამოიყენა ამ თამაშში "ბოლდკლუბენმა" თავისი მასქსიმუმი, ხოლო თბილისელები, პირიქით, მხოლოდ მინიმუმს დასჯერდნენ.

მ. ამირეჯიბი.
27 ივლისი, 1963 წ.